

### American Express Blue Card

საკრედიტო ბარათით მომსახურების ძირითადი პირობები

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საბარათე ანგარიშზე დაშვებული საბანკო კრედიტით სარგებლობის პირობებს (შემდგომში – პირობები). აღნიშნული საბანკო კრედიტით სარგებლობის საშუალება კლიენტს მიეცემა მის მიერ საკრედიტო ბარათის განაცხადის (შემდგომში – განაცხადი) ბანკისათვის წარდგენის შემდეგ, თუმცა კლიენტის მიერ განაცხადის წარდგენა არ ნიშნავს ბანკის მხრიდან ასეთი მომსახურების უპირობოდ გაწევას. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი მიზანშეწონილად ჩათვლის, კლიენტს მისცეს საშუალება ისარგებლოს საბანკო კრედიტით საბარათე ანგარიშზე საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტის დაშვების გზით, კლიენტი (მსესხებელი) ვალდებულია კრედიტი და მასზე დარიცხული პროცენტი, ასევე პირობებით გათვალისწინებული საკომისიო, პირგასამტეხლო თუ ნებისმიერი სხვა სახის გადასახდელი დაფაროს პირობების შესაბამისად.

#### 1. ტერმინთა განმარტებები

- 1.1. არასამუშაო დღე – შაბათი, კვირა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეები.
- 1.2. გადახდის თარიღი – თარიღი, რომელი რიცხვის ჩათვლითაც უნდა მოხდეს მინიმალური გადასახადის დაფარვა;
- 1.3. გადახდის ოპერაცია – სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში American Express Blue Card ბარათით ჩატარებული ოპერაცია, რომლის დროსაც კლიენტმა შეიძინა ნივთი და/ან მომსახურება.
- 1.4. განაღდების ოპერაცია – ბანკის ბანკომატის მეშვეობით American Express Blue Card ბარათით ჩატარებული განაღდების ოპერაცია.
- 1.5. დაანგარიშების თარიღი – თარიღი, რომელშიც წარმოებს მინიმალური გადასახადის დაანგარიშება;
- 1.6. ვადაგადაცილებული დავალიანება – კლიენტის დავალიანება ბანკის წინაშე, რომელიც არ არის დაფარული პირობებით გათვალისწინებულ ვადებში;
- 1.7. ვადაგადაცილების თარიღი – გადახდის თარიღის მომდევნო დღე;
- 1.8. კრედიტის გადახარჯვა – საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტის ზევით თანხის გახარჯვა;
- 1.9. მინიმალური გადასახადი – ყოველთვიურად გადასახდელი მინიმალური თანხა, რომელშიც შედის: საანგარიშგებო პერიოდის დასრულების მომენტისათვის ათვისებული კრედიტის 10%, საანგარიშგებო პერიოდში დარიცხული პროცენტი, და/ან საკომისიო თანხის 100%, და/ან პირგასამტეხლოს 100% და/ან გადახარჯული თანხის 100%;
- 1.10. ოპერაციის ასახვის დღე – საკრედიტო ბარათის ანგარიშის ამონაწერში ოპერაციის ასახვის დღე.
- 1.11. პრომო აქცია – ბანკის მიერ ორგანიზებული წამახალისებელი აქცია, რომლის დროსაც მოქმედებს ბანკის მიერ განსაზღვრული შეღავათები, ირიცხება გაზრდილი მოცულობის Cashback-ი.
- 1.12. საკრედიტო ბარათი – American Express-ის ბარათი - American Express Blue Card, რომელზეც დაიშვება ბანკის მიერ განსაზღვრული საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტი;
- 1.13. საკრედიტო ბარათის ამონაწერი – დოკუმენტი, სადაც მითითებულია ყოველთვიურად დასაფარი მინიმალური გადასახადი, მისი გადახდის თარიღი და ინფორმაცია ჩატარებული ოპერაციების შესახებ;
- 1.14. საკრედიტო ბარათის ანგარიში – ერთ ვალუტაში ანგარიში, რომელზეც ბანკის მიერ დაშვებულია საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტი;
- 1.15. საკრედიტო ბარათის ბლოკირება – საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტის ათვისების უფლების დროებით შეჩერება;
- 1.16. საკრედიტო ბარათის ბლოკირების თარიღი – ემთხვევა ვადაგადაცილების თარიღს;
- 1.17. საკრედიტო ბარათის გააქტიურება – საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტზე წვდომის აღდგენა;
- 1.18. საკრედიტო ბარათის გაუქმება – საკრედიტო ბარათის მოქმედების შეწყვეტა დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, რასაც მოჰყვება ბანკის მოთხოვნა ათვისებული კრედიტისა და მასზე დარიცხული ყველა გადასახდელის დაუყოვნებლივ დაფარვის შესახებ;
- 1.19. საკრედიტო ბარათის გაუქმების თარიღი – გადახდის თარიღიდან 62-ე დღე, თუ ამ თარიღამდე არ მოხდება ვადაგადაცილებული დავალიანების დაფარვა;
- 1.20. საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტი – კრედიტის მოცულობა, რომლის ფარგლებშიც კლიენტს უფლება აქვს მოახდინოს თანხის გახარჯვა საბარათე ანგარიშიდან;
- 1.21. საშუალო პერიოდი – 56 დღემდე (53 დღიდან 56 დღემდე, დამოკიდებულია კონკრეტულ თვეში დღეების რაოდენობაზე). თუ ამონაწერში დაფორმირებული სრული დავალიანება სრულად იქნება დაფარული დაანგარიშების თარიღიდან გადახდის თარიღამდე, საშუალო პერიოდის განმავლობაში, ათვისებულ კრედიტს პროცენტი არ დაერიცხება. საშუალო პერიოდი ძალაშია იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ აქვს ვადაგადაცილებული დავალიანება. იმ შემთხვევაში, თუ გადახდის თარიღი არასამუშაო დღეა, საშუალო პერიოდით სარგებლობისათვის ათვისებული კრედიტის დაფარვა უნდა მოხდეს გადახდის თარიღის მომდევნო სამუშაო დღის დასრულებამდე, არაუგვიანეს 23:30 საათისა;
- 1.22. საჯარიმო პერიოდი – დროის პერიოდი ვადაგადაცილების თარიღიდან ვადაგადაცილებული დავალიანების სრულად დაფარვამდე და/ან საკრედიტო ბარათის გაუქმების თარიღამდე;
- 1.23. Cashback - American Express Blue Card-ის მეშვეობით ჩატარებული გადახდის და/ან განაღდების ოპერაციების მიხედვით დაანგარიშებული თანხა, რომელიც ირიცხება American Express Blue Card-ის ანგარიშზე.

#### 2. საკრედიტო ბარათის ძირითადი პირობები

- 2.1. **საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტის მოქმედების ვადა:** უვადო;
- 2.2. **საკრედიტო ბარათის მოქმედების ვადა:** განისაზღვრება კლიენტის მიერ შევსებული განაცხადით;
- 2.3. **ბარათის წლიური საკომისიო:** American Express Blue Card ძირითადი ბარათი – 25.00 (ოცდახუთი) ლარი; American Express Blue Card დამატებითი ბარათი – 25.00 (ოცდახუთი) ლარი; 2 % (მოიცავს American Express-ის 0.75%-ს);
- 2.4. **კონვერტაციის საკომისიო:**
- 2.5. **წლიური საბაზისო საპროცენტო განაკვეთი:**
- 2.5.1. **სავაჭრო ობიექტებში გახარჯული თანხებისათვის:** 22 %;
- 2.5.2. **განადღებული თანხებისა და სხვა ოპერაციებით ათვისებული კრედიტისათვის:** 36%;
- 2.5.3. **გადახარჯული კრედიტისათვის:** ოპერაციის ტიპის მიხედვით 2.5.1. და 2.5.2. პუნქტში მითითებულ საპროცენტო სარგებელს დამატებული 10%;
- 2.6. **დაანგარიშების თარიღი:** განაცხადში დაფიქსირებული თარიღი. იმ შემთხვევაში, თუ დაანგარიშების თარიღი ემთხვევა თვის ისეთ რიცხვს, რომელიც კონკრეტულ თვეში არ არსებობს, მაშინ დაანგარიშების თარიღი გადაიწევეს ამავე თვის ბოლო სამუშაო დღეზე;
- 2.7. **გადახდის თარიღი:** დაანგარიშების თარიღის შემდგომ 25-ე დღე. იმ შემთხვევაში, თუ გადახდის თარიღი არსამუშაო დღეა, კლიენტი ვალდებულია მინიმალური გადასახადი დაფაროს გადახდის თარიღის მომდევნო სამუშაო დღის დასრულებამდე, არაუგვიანეს 23:30 საათისა;
- 2.8. **საკრედიტო ბარათის მომსახურების ტარიფები:** ბანკის ვებ-გვერდზე - [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge) განთავსებული ტარიფების შესაბამისად;
- 2.9. **პირგასამტეხლო:**
- 2.9.1. **გადახდის თარიღისათვის მინიმალური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში:** 10.00 (ათი) ერთეული საკრედიტო ბარათის ანგარიშის ვალუტაში;
- 2.9.2. **საკრედიტო ბარათის გაუქმების შემთხვევაში:** 50.00 (ორმოცდაათი) ერთეული საკრედიტო ბარათის ანგარიშის ვალუტაში;
- 2.9.3. **საკრედიტო ბარათის გაუქმების შემთხვევაში, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის:** ვადაგადაცილებული დღისათვის 0.2% (წოლი მთელი ორი მეათედი პროცენტი);
- 2.10. **საბარათო ანგარიშის ტიპი:** ერთ ვალუტიანი ანგარიში. ანგარიშზე დამუშავებული ოპერაციები: თანხის განადღება, სავაჭრო ობიექტებში გადახდა, თანხის ჩარიცხვა და ანგარიშზე თანხის შეტანა.
3. **ზოგადი პირობები**
- 3.1. ბარათ(ებ)ს ბანკი დაამზადებინებს კლიენტის მიერ შევსებული განაცხადის საფუძველზე და მის შესაბამისად და გადასცემს კლიენტს სარგებლობაში ანგარიშ(ებ)იდან ოპერაციების საწარმოებლად. ბარათი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას. ბარათის PIN-კოდს ბანკი კლიენტს გადასცემს დალუქული კონვერტის ან კლიენტის მიერ ბანკში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი SMS შეტყობინების მეშვეობით.
- 3.2. **დამატებითი ბარათი, დამატებითი ბარათის მფლობელები:**
- 3.2.1. კლიენტს შეუძლია ბანკისგან მოითხოვოს მისი ოჯახის წევრ(ებ)ისათვის და სხვა დაკავშირებულ პირთათვის დამატებითი ბარათის, PIN-ის და საჭიროების შემთხვევაში სხვა წვდომის კოდების გაცემა. დამატებითი ბარათის გაცემაზე ბანკის თანხმობის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია გააცნოს დამატებითი ბარათის მფლობელს აღნიშნული პირობები. ამასთან კლიენტი ვალდებულია, გადაიხადოს დამატებითი ბარათის და წვდომის კოდების გამოყენებით განხორციელებული ოპერაციების საფასური და სხვა შესაბამისი ხარჯები. აღნიშნული ოპერაციის ხარჯები მოიცავს ანგარიშიდან ჩამოჭრილ თანხებს დამატებითი ბარათის ბანკში დაბრუნების შემდეგ;
- 3.2.2. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, გადასცეს გარკვეული სახის ინფორმაცია დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს. ეს ინფორმაცია მოიცავს დეტალებს ანგარიშ(ებ)ის შესახებ, აგრეთვე, სხვა სახის ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია დამატებითი ბარათ(ებ)ის სათანადო გამოყენებისთვის.
- 3.3. თუ საოპერაციო თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, საბანკო ოპერაცია განხორციელდება მომდევნო საბანკო დღეს.
- 3.4. **ბანკი იღებს ვალდებულებებს:**
- 3.4.1. დაამზადოს და კლიენტს სარგებლობაში გადასცეს ბარათ(ებ)ი, ბარათის შესახებ განაცხადში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად;
- 3.4.2. კლიენტს მისი მოთხოვნისთანავე გადასცეს ანგარიშის ამონაწერი ბანკში მოქმედი ტარიფებით განსაზღვრული საკომისიო მოსაკრებლის საფასურად;
- 3.4.3. ბარათის ანულისების ან მისი ხმარებიდან ამოღების შემთხვევაში დაუბრუნოს კლიენტს ანგარიშზე რიცხული ნაშთი ბარათის ჩაბარებიდან 14 (თოთხმეტი) საბანკო დღის განმავლობაში, ბარათის ჩაუბარებლობის შემთხვევაში ბანკი პასუხს არ აგებს ბარათის მოქმედების შეჩერებაზე.
- 3.5. ბანკს უფლება აქვს:



- 3.5.1. აუცილებლობის შემთხვევაში, ბარათის მოქმედების ვადაში შეცვალოს ბარათი ახლით, რის შესახებაც ბარათის მფლობელს ატყობინებს 14 (თოთხმეტი) საბანკო დღით ადრე.
- 3.5.2. დაჯავშნოს ბანკში არსებული კლიენტის სხვა ანგარიშ(ებ)ი და მათზე რიცხული თანხები მიმართოს (არაავტორიზებული) ოვერდრაფტის დასაფარავად წინასწარ შეთანხმებული ვადის გასვლის შემდეგ.
- 3.5.3. გაუფზავნოს კლიენტს/დამატებითი ბარათის მფლობელს შეტყობინება ბანკისათვის ბარათის დაბრუნების მოთხოვნით, თუ ოპერაციების ჩატარებისას მის ქმედებაში შეამჩნევს უკანონობას.
- 3.5.4. ბარათის დაკარგვის შემთხვევაში კლიენტს ანგარიშიდან ჩამოაწეროს ბარათის დაკარგვიდან ბანკში შესაბამისი წერილობითი შეტყობინების მოსვლამდე პერიოდში ბარათით ჩატარებული ოპერაციების ექვივალენტი სახსრები.
- 3.5.5. კლიენტის ან/და დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ ხელშეკრულების დარღვევის, აგრეთვე კლიენტის გადახდისუუნარობის შემთხვევაში შეაჩეროს ან შეწყვიტოს ბარათის მოქმედება და მიიღოს აუცილებელი ზომები ბანკისადმი კლიენტის დავალიანების ამოსაღებად.
- 3.5.6. შეაჩეროს ბარათის მოქმედება არაკანონიერი ოპერაციების ჩატარების აღმოჩენის, აგრეთვე, American Express-ის საგადახდებლო სისტემების მიერ ბარათის არაკანონიერი გამოყენების შესახებ დამადასტურებელი ინფორმაციის მოწოდებისთანავე.
- 3.5.7. გააუქმოს ბარათი ან/და დახუროს შესაბამისი ანგარიში კლიენტის მიერ ბარათის (დამატებითი ბარათის) დამზადების შესახებ განაცხადის წარდგენის დღიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში ბარათის მფლობელის გამოუცხადებლობის ან/და შესაბამის ანგარიშზე საბანკო ოპერაციების განუხორციელებლობის შემთხვევაში.
- 3.5.8. საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს კლიენტს ბარათ(ებ)ის გაცემასა და/ან აღდგენაზე.
- 3.5.9. ანგარიშიდან, ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად, უაქცეპტოდ ჩამოაწეროს კლიენტს საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშისა და ბარათისათვის/დამატებითი ბარათისათვის ბანკში დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, ბარათ(ებ)ის დაკარგვის შემთხვევაში გაწეული დანახარჯები, (არაავტორიზებული) ოვერდრაფტით სარგებლობის საფასური, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები.
- 3.5.10. ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოაწეროს კლიენტზე გაცემული ყველა ბარათით/დამატებითი ბარათით ჩატარებული, აგრეთვე საგადახდებლო სისტემა American express-ის გავლით ბანკებისა და ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ოპერაციების ექვივალენტი სახსრები ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად გათვალისწინებულ საკომისიო მოსაკრებლებთან ერთად.
- 3.6. კლიენტი იღებს ვალდებულებებს:
  - 3.6.1. პასუხი აგოს განაცხადის შევსების სისწორეზე და მასში მითითებული ინფორმაციის ყველა ცვლილება წერილობით შეატყობინოს ბანკს 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ბანკი პასუხისმგებელი არ იქნება თუ განაცხადში დაფიქსირებული ინფორმაცია არ შეესაბამება პირადობის მოწმობაში და/ან პასპორტში დაფიქსირებულ კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს და ამის გამო კლიენტი ვერ განახორციელებს გარკვეული სახის ოპერაციებს.
  - 3.6.2. შეინახოს ბარათის გამოყენებით წარმოებულ ოპერაციებზე არსებული ყველა დოკუმენტი და წარუდგინოს იგი ბანკს სადავო საკითხების წარმოშობისას.
  - 3.6.3. ბარათის დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს. ყოველი ზეპირი განაცხადი უნდა დადასტურდეს ბანკში პირადი მისვლით და წერილობით განცხადებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი პასუხს არ აგებს იმ ფინანსურ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს კლიენტს (წერილობითი განცხადება ბანკში უნდა დაფიქსირდეს ზეპირი განცხადებიდან ერთი საბანკო დღის განმავლობაში). დაგვიანების შემთხვევაში, ბანკის მიერ ბარათის დაკარგვის შესახებ განაცხადის მიღებამდე მესამე პირების მიერ ბარათით წარმოებულ ყველა ოპერაციაზე პასუხს აგებს კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი.
  - 3.6.4. დაკარგული ბარათის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუბრუნოს იგი ბანკს.
  - 3.6.5. ბანკის მიერ ბარათის გაუქმების ან ხმაზებიდან ამოღების შემთხვევაში დაბრუნოს ბარათი შეტყობინებიდან არა უგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.
  - 3.6.6. ბარათით შეძენილი საქონლის უკან დაბრუნების შემთხვევაში, არ მოითხოვოს სავაჭრო წერტილიდან შეძენილი საქონლის ღირებულება ნაღდი ფულის სახით. ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით შესაბამის ანგარიშზე.
  - 3.6.7. ჩატაროს ბარათით ოპერაციები მოცემული პირობების შესაბამისად.
  - 3.6.8. გააცნოს დამატებითი ბარათის მფლობელს პირობები.
  - 3.6.9. ბარათის დაკარგვის შემთხვევაში იხელმძღვანელოს პირობებით და ბანკის მიერ ბარათის დაკარგვის შესახებ შეტყობინების მიღებამდე პასუხი აგოს მესამე პირების მიერ ბარათით ოპერაციების ჩატარებაზე.
  - 3.6.10. ბარათის დაკარგვის შემთხვევაში იხელმძღვანელოს პირობებით და ბანკის მიერ ბარათის დაკარგვის შესახებ შეტყობინების მიღებამდე პასუხი აგოს მესამე პირების მიერ ბარათით ოპერაციების ჩატარებაზე.
  - 3.6.11. გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები.
  - 3.6.12. ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშისა და ბარათ(ებ)ის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი, საჭიროების შემთხვევაში ანაზღაურდეს ბარათ(ებ)ის დაკარგვასთან დაკავშირებული დანახარჯები.
- 3.7. კლიენტს უფლება აქვს:
  - 3.7.1. ბარათით ჩატარდეს ოპერაციები ხარჯვის ლიმიტის ფარგლებში.
  - 3.7.2. წაუყენოს ბანკს პრეტენზიები ამონაწერის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში.
  - 3.7.3. დაანგარიშების თარიღიდან არაუგვიანეს მეხუთე კალენდარული დღისა ბანკში მიიღოს უკანასკნელი საანგარიშო პერიოდის ამონაწერი.
  - 3.7.4. გააპროტესტოს მაქსიმუმ 5 ოპერაცია, რომელიც ჩატარებულია ბარათის გამოყენების გარეშე საფოსტო კავშირის მომსახურებით ან ინტერნეტ ქსელით. ბანკის მიერ პრეტენზიები ზემოხსენებული ტიპის ოპერაციებზე მიიღება მხოლოდ დაკარგული ბარათის განახლების შემთხვევაში.
  - 3.7.5. თავდებად დადგეს ბანკის წინაშე დამატებითი ბარათის გაცემისას.



- 3.7.6. წერილობით შეატყობინოს ბანკს ბარათის ვადის გასვლის შესახებ და მოითხოვოს მისი განახლება.
- 3.8. მხარეთა პასუხისმგებლობა:
- 3.8.1. ბანკი პასუხისმგებელია: ა) კლიენტის წინაშე ანგარიშზე ოპერაციების წარმოების სისწორესა და დროულობაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; ბ) ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 3.8.2. ბანკი არ აგებს პასუხს: ა) მომსახურების განხორციელების დაყოვნებისათვის, თუ ასეთი დაყოვნება გამოწვეული იყო ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზით; ბ) ბარათის მეშვეობით ჩატარებული ოპერაციის კანონიერებაზე. გ) ბარათის მოქმედების შეჩერებაზე; დ) ბანკი თავისუფლდება მატერიალური პასუხისმგებლობისგან, თუ მის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ განხორციელდა ტექნიკური ხარვეზის გამო (ელექტროკვების ან ქსელის დაზიანება/გათიშვა, საპროცესინგო ცენტრის პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანება, საგადამხდელო სისტემის ტექნიკური ხარვეზი).
- 3.8.3. ბანკი არ განიხილავს მიღებულ პრეტენზიებს, თუ ბარათის დაკარგვისას კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის მხრიდან დარღვეული იქნება ხელშეკრულებით განსაზღვრული ბანკის ინფორმირების წესები.
- 3.8.4. კლიენტი პასუხისმგებელია: ა) ბარათის მეშვეობით ჩატარებული ყველა არაკანონიერი ოპერაციისათვის. ბ) კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს ზიანი, რომელიც წარმოიქმნება ბარათის მფლობელის მიერ მოცემული ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.
- 3.9. American Express-ის ბარათების გამოყენების ზოგადი წესები:
- 3.9.1. კლიენტი ვალდებულია:
- 3.9.1.1. ხელი მოაწეროს ბარათს მისი მიღებისთანავე. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი არ მოაწერს ხელს ბარათს ან ხელმოწერების შეუსაბამობის შემთხვევაში ბანკს შეუძლია შეაჩეროს, ჩამოართვას ან შეუზღუდოს კლიენტს საბანკო ბარათის, PIN-ის ან სხვა წვდომის კოდების გამოყენების შესაძლებლობა.
- 3.9.1.2. უსაფრთხოდ შეინახოს ბარათი ნებისმიერ დროს და არ მისცეს მესამე პირებს მისი გამოყენების შესაძლებლობა; შენიშვნა: წვდომის კოდების მიღებისას რეკომენდირებულია, მათი დამახსოვრება და წვდომის კოდ(ებ)ის შემცველი დოკუმენტების დაუყოვნებლივ განადგურება;
- 3.9.1.3. არასოდეს არ დაწეროს წვდომის კოდი ისე, რომ მესამე პირებმა შეძლონ მათი მოპოვება;
- 3.9.1.4. ყოველთვის დაიცვას ბარათით სარგებლობის წესები.
- 3.9.2. კლიენტს არ აქვს უფლება:
- 3.9.2.1. გამოიყენოს ბარათი საქართველოს და/ან სხვა ქვეყნის შესაბამისი იურისდიქციით განსაზღვრული არალეგალური მიზნებისთვის;
- 3.9.2.2. გამოიყენოს ბარათი მის ძალაში შესვლამდე ან ვადის გასვლის შემდეგ, ან მას შემდეგ, რაც კლიენტი მიიღებს შეტყობინებას იმის შესახებ, რომ ბანკმა გააუქმა საბანკო ბარათი;
- 3.9.2.3. გამოიყენოს ბარათი თუ მისი გამოყენების შედეგად ანგარიშიდან თანხის გამოტანა მოხდა ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე;
- 3.9.2.4. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში უარი განაცხადოს ბანკისთვის ბარათის დაბრუნებაზე. კლიენტი ვალდებულია ბანკის მოთხოვნისას დაუბრუნოს ბანკს ბარათი, ამასთან ბანკის სახელით მოქმედი პიროვნებას უფლება აქვს ნებისმიერ დროს დაიბრუნოს ბარათი (კერძოდ, ბანკს შეუძლია გააუქმოს ბარათი და სთხოვოს ნებისმიერ მესამე მხარეს დააკავოს ბარათი, თუ კლიენტი მის გამოყენებას შეეცდება);
- 3.10. ბარათის გამოყენება
- 3.10.1. ოპერაციები:
- 3.10.1.1. ბარათის გამოყენება შესაძლებელია PIN-ის მეშვეობით ბანკომატებიდან ნაღდი ფულის გამოსატანად განადღების ლიმიტის ფარგლებში, საქართველოში და საზღვარგარეთ, აგრეთვე ბანკომატებით შეთავაზებული აქტიური ოპერაციები და/ან მომსახურება; შენიშვნა: PIN -ის სამჯერ ზედიზედ არასწორად შეყვანის შემთხვევაში ბანკომატმა შეიძლება დააკავოს ბარათი.
- 3.10.1.2. ბანკი აწესებს ხარჯვის ლიმიტებს, რომელიც დროდადრო შეიძლება შეიცვალოს;
- 3.10.1.3. ბარათის გამოყენება შესაძლებელია საქონლის ან მომსახურების შესაძენად ისეთ საცალო მაღაზიებში, სადაც შეიძლება American Express-ის ბარათებით გადახდა;
- 3.10.1.4. ანგარიშზე არსებული თანხებიდან ბანკი ჩამოჭრის ბარათის გამოყენებით განხორციელებული ოპერაციების შესაბამის თანხებს კლიენტის მიერ გადასახდელი ყველა ფინანსური ხარჯის (სხვადასხვა მომსახურების საფასურის) დასაფარად.
- 3.10.2. გადახდების ავტორიზაცია
- 3.10.2.1. ბანკი უფლებამოსილია არ გასცეს ავტორიზაცია/არ შეასრულოს დავალება, თუ:
- 3.10.2.2. ბარათი დაიკარგა ან მოპარულ იქნა;
- 3.10.2.3. ბანკს აქვს საფუძველი იფიქროს, რომ საბანკო ბარათი დაიკარგა ან მოპარულ იქნა;
- 3.10.2.4. კლიენტი არღვევს პირობებს (ბარათით სარგებლობის წესებს);
- 3.10.2.5. ბანკის მიერ ავტორიზებული ყველა (ჯერ ჩამოუჭრელი თანხების ჩათვლით) ოპერაციის გათვალისწინებით ანგარიშზე საკმარისი თანხები არ არსებობს.
- 3.10.2.6. მას შემდეგ, რაც კლიენტი განახორციელებს ოპერაციას ბარათის გამოყენებით მას არ აქვს უფლება მოსთხოვოს ბანკს ამ ოპერაციის შეჩერება. ბანკი გააუქმებს ოპერაციას, რომელიც ავტორიზებულია, მაგრამ ჯერ არ არის გადახდილი იმ შემთხვევაში, თუ ბანკს გააჩნია სათანადო მტკიცებულება იმისა, რომ ოპერაცია გაუქმდა.
- 3.10.3. ხარჯები
- 3.10.3.1. ბარათის ყოველი გამოყენებისთვის ხარჯების გადახდა მოხდება ბანკში დადგენილი ტარიფების შესაბამისად. აღნიშნული ტარიფები შეიძლება დროდადრო შეიცვალოს კლიენტთან შეთანხმების გარეშე – ბანკში მიღებული წესების მიხედვით.
- 3.10.4. ბარათის ვადის გასვლის შედეგები, ახალი ბარათის დამზადება ავტომატურად და კლიენტის განაცხადის შევსება



- 3.10.4.1. თუ ბარათის ვადის გასვლის შემდეგ კლიენტს აღარ სურს ახალი ბარათის დამზადება, იგი ვალდებულია ბარათის ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე გაუგზავნოს ბანკს აღნიშნული შეტყობინება;
- 3.10.4.2. ბარათის ავტომატურად დამზადების შემთხვევაში ბანკი კლიენტს გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას. შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით, მათ შორის მობილ-ბანკით მომსახურების გამოყენებით;
- 3.10.4.3. ავტომატურად დამზადებული ბარათის მოთხოვნა კლიენტს შეუძლია ბანკის ნებისმიერ სერვის-ცენტრში, ბარათის ვადის გასვლამდე 5 (ხუთი) საბანკო დღით ადრე. ბარათის მიწოდება მოხდება მოთხოვნიდან მაქსიმუმ 5 საბანკო დღის ვადაში.
- 3.10.4.4. თუ კლიენტის თხოვნის საფუძველზე ან ანგარიშზე შესაბამისი თანხების არარსებობის გამო კლიენტისათვის ახალი ბარათი არ დამზადებულა, ბანკი ბარათის ვადის გასვლიდან 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში შეაჩერებს ანგარიშ(ებ)ზე აქტივის ოპერაციებს (თანხების გატანა, გადარიცხვა ან ნაშთის სხვაგვარად შეცვლილება), თუ ამ დრომდე კლიენტის შესაბამისი განაცხადის საფუძველზე ბანკს მისთვის ახალი ბარათი არ დაუმზადებია.
- 3.10.4.5. თუ კლიენტს ბარათი ავტომატურად არ დაუმზადდა, ახალი ბარათის დამზადება მოხდება შესაბამისი განაცხადის შევსების საფუძველზე.
- 3.10.5. ბარათის დაკარგვა
- 3.10.5.1. თუ ბარათი მოპარული ან დაკარგულია ან კლიენტს ეჭვი აქვს, რომ ვიღაცამ იცის მისი PIN-ი ან სხვა წვდომის კოდი, დაუყოვნებლივ უნდა დარეკოს ბანკში შემდეგ ნომერზე: (+995 32) 2 444444; 2 444300; 2 314999; 2 315804; 2 316947 ან გამოცხადდეს ბანკში პირადად;
- 3.10.5.2. თუ ბარათის გამოყენება არალეგალურად მოხდა, კლიენტის მიერ ბანკის შეტყობინებამდე - ბარათის დაკარგვის ან მოპარვის შესახებ, ან იმის შესახებ, რომ ვიღაცამ იცის მისი PIN-ი ან სხვა წვდომის კოდები, კლიენტი ვალდებული იქნება აანაზღაუროს ამგვარი უკანონო გამოყენების შედეგად გადასახდელი თანხა მთლიანად;
- 3.10.5.3. თუ ბარათის გამოყენება მოხდა მესამე პირის მიერ კლიენტის ნებართვით, კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს ასეთი პირის მიერ ბარათით განხორციელებული ყველა ოპერაციის თანხა;
- 3.10.5.4. როგორც კი ბანკი მიიღებს შეტყობინებას ბარათის დაკარგვის, მოპარვის ან უკანონოდ გამოყენების შესახებ, ბანკი დაბლოკავს ბარათს. თუ კლიენტი იპოვის ბარათს იგი ვალდებულია გამოცხადდეს ბანკში და წერილობით განაცხადოს ბლოკირების მოხსნის შესახებ, ხოლო ბანკი უფლებამოსილი იქნება კლიენტის განცხადების საფუძველზე მოხსნას ბლოკირება, თუ იმ პერიოდისთვის ბარათი არ იქნება გაუქმებული ან ვადაგასული;
- 3.10.5.5. კლიენტი იმ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი ბარათის უკანონო გამოყენებით დამდგარ/გამოწვეულ ზიანზე/ზარალზე, თუ კლიენტს არ ჰქონდა მიღებული აღნიშნული ბარათი;
- 3.10.5.6. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მესამე პირი არ მიიღებს ბარათს, PIN-ს ან სხვა წვდომის კოდებს, ბანკომატის გაუმართაობაზე, გაფიცვას ან დავაზე, ან ნებისმიერ სხვა ვითარებაზე, რომელიც გავლენას ახდენს ბარათის, PIN-ის ან სხვა წვდომის კოდის გამოყენებაზე და რომელსაც ბანკი უშუალოდ ვერ აკონტროლებს. ბანკი არ არის პასუხისმგებელი მესამე პირების ქმედებაზე, ბარათის გაუქმებასთან ან ამოღებასთან დაკავშირებით.
- 3.10.5.7. კლიენტი ბანკის წინაშე პასუხისმგებელი იქნება ანგარიშთან დაკავშირებულ ყველა ვალდებულებაზე, მათ შორის იმ ვალდებულებებზეც, რომლებიც წარმოიშვა საბანკო ბარათის ან/და ბარათის ნომრის ან/და ბარათის მოქმედების ვადის ან/და PIN-ის ან/და სხვა წვდომის კოდების გამოყენებიდან.
- 3.10.6. ინფორმაციის გაცემა
- 3.10.6.1. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს მისცეს შესაბამის მესამე მხარეს ინფორმაცია ბარათის, PIN-ის ან სხვა წვდომის კოდის დაკარგვის, მოპარვის ან უკანონოდ გამოყენების შესახებ; ან იმ მიზნით, რომ ბანკმა შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები (მოიცავს ვალდებულებებს American Express-ის საერთაშორისო საგადაამხდელი სისტემების წინაშე).
- 3.10.7. ბარათ(ებ)ის გამოყენების უფლების გაუქმება
- 3.10.7.1. ბარათი ძალაშია იმ თვის ბოლომდე, რომელიც მითითებულია ბარათზე;
- 3.10.7.2. თუ ბანკი საჭიროდ ჩათვლის მას ნებისმიერ დროს შეუძლია შეაჩეროს, ამოიღოს ან აკრძალოს ბარათის გამოყენება. კლიენტი ბანკისგან მიიღებს შეტყობინებას ამგვარი ქმედების განხორციელებამდე ან ამგვარი ქმედების განხორციელებიდან უმოკლეს ვადაში;
- 3.10.7.3. თუ კლიენტის მიერ ბარათის გამოყენება შეჩერებული ან შეზღუდულია რაიმე მიზეზით, რაც მოიცავს ბანკის მიერ კლიენტისთვის მიცემულ ინსტრუქციას არ გაიტანოს თანხები ანგარიშიდან ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე, კლიენტს აღარ ექნება უფლება გამოიყენოს ბარათი;
- 3.10.7.4. კლიენტმა შეიძლება შეწყვიტოს ბარათის გამოყენება (ან დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ დამატებითი ბარათის გამოყენება) ბანკში წერილობითი შეტყობინების გაგზავნით და ბარათის და დამატებითი ბარათ(ებ)ის ბანკისთვის დაბრუნებით.
- 3.10.7.5. კლიენტის ან ბანკის მიერ ბარათ(ებ)ის გამოყენების შეწყვეტის შემდეგ კლიენტი ვეღარ ისარგებლებს ბარათ(ებ)ით, ხოლო ბანკი უფლებამოსილია ანგარიშ(ებ)ს მოემსახუროს სტანდარტული მიმდინარე ანგარიშის პირობების შესაბამისად;
- 3.10.8. ბარათ(ებ)ის ამოღების და ანგარიშ(ებ)ის დახურვის შემთხვევაში:
- 3.10.8.1. კლიენტმა უნდა გააუქმოს ნებისმიერი მუდმივი საგადასახადო დავალება, ავტომატური გადახდები ასევე საცალო გამყიდველთან ან მომსახურების მომწოდებელთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა სადებეტო დავალება (ბანკს არ შეუძლია ამის განხორციელება კლიენტის სახელით);
- 3.10.8.2. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს ანგარიშზე დარიცხული ნებისმიერი თანხა ნებისმიერ დაგვიანებით დარიცხულ თანხასთან ერთად;
- 3.10.8.3. კლიენტმა ბანკს აგრეთვე უნდა აუნაზღაუროს ხელშეკრულების ძალაში შესვლასთან დაკავშირებული ხარჯი, ასევე ყველა ხარჯი, რომელსაც ბანკი გაიღებს ხელშეკრულების ადმინისტრირებისათვის, თუ კლიენტი არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. კლიენტი ვალდებული იქნება გადაიხადოს ნებისმიერი ხარჯი დაკავშირებული თანხების ვადაგადაცილებისათვის ან მსგავსი გადასახდელი თანხები.



3.10.9. ზოგადი

- 3.10.9.1. ბანკი არ იღებს ვალდებულებას, თუ მას არ შეუძლია კლიენტს მიაწოდოს ბარათთან დაკავშირებული მომსახურების რაიმე ტიპი მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო (მაგალითად, გაფიცვა, ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტა ან მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლა);
- 3.10.9.2. თუ ბანკი მიმდინარე მომენტისათვის არ აწესებს ან ახდენს რაიმე პირობის გადავადებას, ბანკს შეუძლია მოგვიანებით დააწესოს ამგვარი პირობები;
- 3.10.9.3. ბარათის გამოყენება რეგულირდება საბანკო კანონმდებლობით და ბანკსა და საერთაშორისო საგადასახდელი სისტემებს American Express-ს შორის სალიცენზიო ხელშეკრულებების პირობებით.

**4. საპროცენტო სარგებლის დარიცხვისა და კრედიტის დაფარვის წესი**

- 4.1. საკრედიტო ბარათის ანგარიშზე წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა შესაძლებელია როგორც სრულად, ასევე ნაწილობრივ. ყოველთვიურად დასაფარი მინიმალური გადასახადის დაფარვა სავალდებულოა გადახდის თარიღისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა;
- 4.2. გადახდის თარიღისათვის მინიმალური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში საკრედიტო ბარათის მომდევნო ამონაწერში ყოველთვიურად გადასახდელი მინიმალური თანხის მოცულობა დაიანგარიშება შემდგენიარად: განაღდების და გადახდების ოპერაციებით მიმდინარე მომენტისათვის ათვისებულ კრედიტისა და საკრედიტო ბარათის წინა ამონაწერში გამოწერილი ძირითადი თანხის დარღვევის დაუფარავი ნაწილის სხვაობის 10%-ს; საკრედიტო ბარათის წინა ამონაწერში გამოწერილი ძირითადი თანხის დაუფარავი ნაწილის 100%-ს; საანგარიშგებო პერიოდში დარიცხულ პროცენტს; და/ან საკომისიო თანხის 100%, და/ან პირგასამტეხლოს 100% და/ან გადახარჯული თანხის 100%;
- 4.3. გადახდის თარიღისათვის მინიმალური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში ბანკი განახორციელებს საკრედიტო ბარათის ბლოკირებას. საკრედიტო ბარათის გააქტიურება მოხდება ვადაგადაცილებული დავალიანების სრულად გადახდის შემდეგ და, იმ შემთხვევაში, თუ არ დამდგარა 4.4. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა;
- 4.4. გადახდის თარიღიდან 62 (სამოცდაორი) დღის განმავლობაში მინიმალური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში საკრედიტო ბარათი უქმდება, რისთვისაც კლიენტს ერიცხება პირგასამტეხლო საკრედიტო ბარათის გაუქმებისათვის. საკრედიტო ბარათის გაუქმება იწვევს პირობებით განსაზღვრული მომსახურების შეწყვეტას; ამასთანავე, ბანკი ასევე უფლებამოსილია ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობების არსებობისას (საკრედიტო ბარათის გაუქმების შემთხვევაში) კლიენტს, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის დააკისროს შესაბამისი პირგასამტეხლო;
- 4.5. თუ კრედიტზე არ ვრცელდება საშეღვათო პერიოდისათვის გათვალისწინებული პირობები, მაშინ საპროცენტო სარგებელი იანგარიშება კრედიტით სარგებლობის ფაქტურით დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 დღეზე გაანგარიშებით. ნებისმიერი მიზეზით საკრედიტო ბარათით მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, ბანკის მიერ პროცენტის დარიცხვა გრძელდება საკრედიტო ბარათის გაუქმების შემდეგაც. ვადაგადაცილებული დავალიანება (ძირითადი თანხა, პროცენტი, საკომისიო, პირგასამტეხლო) გადახდას ექვემდებარება სასამართლო აღმასრულებლის მიერ იძულებითი, ან კლიენტის მიერ ნებაყოფლობითი აღსრულების მომენტისათვის არსებული დავალიანების ოდენობით;
- 4.6. დავალიანების დაფარვისას, პირველ რიგში იფარება პირგასამტეხლო და საკომისიო თანხები (მათი არსებობის შემთხვევაში), შემდეგ გადახარჯული თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დარიცხული პროცენტი და ბოლოს, კრედიტის ძირითადი თანხა. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს ბანკის შეხედულებისამებრ;
- 4.7. კლიენტი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებაზე, საკრედიტო ბარათზე გადახდის თარიღის ვადის ვადაგადაცილებისთანავე კლიენტის მიერ ბანკში გახსნილი ანგარიშებიდან კლიენტის დამატებითი აქცეპტის გარეშე ჩამოწეროს პირობების შესაბამისად წარმოქმნილი ნებისმიერი სახის დავალიანება შემდეგი რიგითობით: პირგასამტეხლო, საკომისიო, გადახარჯული თანხა, დარიცხული პროცენტი და კრედიტის ძირითადი თანხა. თუ დავალიანების თანხა და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი თავად განახორციელებს კონვერტაციას გადახდის თარიღისათვის ბანკის მიერ დადგენილი კურსით, რომლის მომსახურების ღირებულებაც ასევე უაქცეპტოდ ჩამოეწერება კლიენტს ანგარიშიდან, ხოლო კონვერტირებული თანხა გამოყენებული იქნება კლიენტის დავალიანების დასაფარავად; თუ კლიენტის ბანკში გახსნილ ანგარიშზე დავალიანების დასაფარად საკმარისი თანხა არ აღმოჩნდა, ბანკი უფლებას იტოვებს მოახდინოს დავალიანების თანხის მოცულობით კლიენტის ანგარიშების დაჯავშნა, დავალიანების სრულად დაფარვამდე.
- 4.8. ბანკის მხრიდან წინამდებარე მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაფაროს ბანკის წინაშე არსებული ყველანაირი დავალიანება ბანკის მიერ მითითებული თარიღისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს დავალიანების დაფარვა კლიენტის ნებისმიერი აქტივიდან.

**5. კონვერტაცია**

- 5.1. ეროვნულ ვალუტაში ემიტირებული ბარათებით განხორციელებული ტრანზაქციები, გარდა ეროვნულ ვალუტაში შესრულებული ოპერაციებისა, გაკონვერტირდება აშშ დოლარში და შემდეგ ეროვნულ ვალუტაში აისახება კლიენტის ანგარიშზე. ეროვნულ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები პირდაპირ აისახება კლიენტის ანგარიშზე;
- 5.2. ამ მუხლში ნახსენები კონვერტაცია განხორციელდება კლიენტის ანგარიშზე ოპერაციის ასახვის დღეს, რომელიც შეიძლება არ დაემთხვეს კლიენტის მიერ ოპერაციის განხორციელების დღეს.

**6. Cashback- ის პირობები**

- 6.1. Cashback პროგრამის ზოგადი აღწერა



- 6.1.1. Cashback პროგრამის ფარგლებში ბანკი საშუალებას აძლევს American Express Blue Card ძირითადი ბარათის მფლობელებს დაიბრუნონ ძირითადი და დამატებითი American Express Blue Card -ით გადახდის და/ან განაღდების ოპერაციებით ათვისებული თანხების გარკვეული ნაწილი.
- 6.1.2. Cashback პროგრამა გააქტიურდება American Express Blue Card ბარათის საბანკო სისტემაში გააქტიურებისას.
- 6.1.3. Cashback თანხების ჩარიცხვა მოხდება 3 (სამ) თვეში ერთხელ და პირველი 3 (სამ) თვიანი ციკლის ათვლა დაიწყება ბარათის გააქტიურების დღიდან. თუ Cashback ჩარიცხვის დღე დაემთხვევა არასაბანკო დღეს, თანხა ჩარიცხება უახლოვეს მომდევნო საბანკო დღეს.
- 6.1.4. ბარათის გაუქმების ან ბარათის ვადის გასვლის შემთხვევაში, მიმდინარე 3 (სამ) თვიან ციკლში დაგროვილი და დასარიცხი Cashback თანხა ჩარიცხება American Express Blue Card ბარათის ანგარიშზე ბარათის დახურვის მომენტში.
- 6.2. Cashback-ის მოცულობა
- 6.2.1. გადახდის ოპერაციით ათვისებული თანხის 1% (ერთი პროცენტი), რაც არ მოიცავს საშემოსავლო გადასახადს, სადაც ეს თანხა გაიზრდება საშემოსავლო გადასახადის თანხით, რომლის გადახდის და ადმინისტრირების შესახებ პირობები მოცემულია ამავე ხელშეკრულების 6.4.1. პუნქტში;
- 6.2.2. განაღდების ოპერაციით ათვისებული თანხის 0.5% (ნული მთელი ხუთი მეათედი პროცენტი), რაც არ მოიცავს საშემოსავლო გადასახადს, სადაც ეს თანხა გაიზრდება საშემოსავლო გადასახადის თანხით, რომლის გადახდის და ადმინისტრირების შესახებ პირობები მოცემულია ამავე ხელშეკრულების 6.4.1. პუნქტში;
- 6.2.3. უცხოურ ვალუტაში ჩატარებული გადახდის და/ან განაღდების ოპერაციებისას Cashback-ის თანხის დაანგარიშება წარმოებს ბანკის კომპიუტერიული კურსით ლარში დაკონვერტირებული თანხის შესაბამისად.
- 6.2.4. დასარიცხი Cashback თანხის ასახვა საბანკო სისტემაში ხდება გადახდის და/ან განაღდების ოპერაციის საბანკო სისტემაში ასახვიდან (ანგარიშის ამონაწერში მოხვედრიდან) მომდევნო საბანკო დღეს.
- 6.2.5. დამატებითი ბარათით ჩატარებული გადახდის და/ან განაღდების ოპერაციების შესაბამისი Cashback თანხა ჩარიცხება ძირითადი ბარათის მფლობელის American Express Blue Card ბარათის ანგარიშზე.
- 6.3. Cashback-ის პრომო აქციები
- 6.3.1. ბანკს უფლება აქვს ჩაატაროს პრომო აქციები (მათ შორის მესამე პირთა მონაწილეობით), რომელთა ფარგლებშიც Cashback. პროცენტული მაჩვენებელი განსხვავებული იქნება 6.2. პუნქტში მითითებული პროცენტული მაჩვენებლებისგან.
- 6.3.2. ბანკის გადაწყვეტილებით პრომო აქციებში მონაწილეობას მიიღებენ Cashback პროგრამის ყველა მონაწილე ან მათი გარკვეული კატეგორიები.
- 6.3.3. ბანკი თავად განსაზღვრავს:
- 6.3.3.1. პრომო აქციის ხანგრძლივობას;
- 6.3.3.2. პრომო აქციაში მონაწილეთა კლიენტების კატეგორიებს;
- 6.3.3.3. გადახდის და/ან განაღდების ოპერაციის დამატებით კრიტერიუმებს;
- 6.3.3.4. პრომო აქციის ფარგლებში დარიცხული Cashback-ის ოდენობას;
- 6.3.3.5. პრომო აქციის ჩატარების სხვა პირობებს.
- 6.4. Cashback-ის განსაკუთრებული პირობები
- 6.4.1. მხარეები თანხმდებიან, რომ Cashback პროგრამის მონაწილის მიერ Cashback თანხის მიღების შედეგად წარმოშობილი საშემოსავლო გადასახადის გადახდისა (6.2.1., 6.2.2. პუნქტების შესაბამისად) და ადმინისტრირების ვალდებულებას, კლიენტის დავალებით შესრულებს ბანკი, ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 6.4.2. ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, შეცვალოს 6.2.1. და/ან 6.2.2. პუნქტებში მითითებული Cashback-ის საპროცენტო განაკვეთები.
- 6.4.3. ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, შეცვალოს 6.2.1. და/ან 6.2.2. პუნქტებში მითითებული პირობა და კლიენტს Cashback-ის სახით ჩაურიცხოს გადახდის და/ან განაღდების ოპერაციით ათვისებული თანხების განსაზღვრულ პროცენტს გამოკლებული ჩარიცხვის მომენტში მოქმედი საშემოსავლო გადასახადის თანხა.
- 6.4.4. ბანკს უფლება აქვს კლიენტის American Express Blue Card ბარათის ანგარიშიდან ჩამოჭრას Cashback-ით ჩარიცხული თანხები, ან თანხის ნაწილი, თუ:
- 6.4.4.1. ბანკმა შეცდომით ჩარიცხა Cashback თანხა კლიენტის ანგარიშზე;
- 6.4.4.2. კლიენტმა ბანკში დადგენილი წესით გაასაჩივრა ძირითადი ან დამატებითი ბარათით ჩატარებული გადახდის და/ან განაღდების ოპერაცია, რომელზეც მას ჩაერიცხა Cashbackთანხა;
- 6.4.4.3. პროგრამის მონაწილემ ან დამატებითი ბარათის მფლობელმა დააბრუნა (უარი განაცხადა მიღებაზე) სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში ბარათით შექმნილი ნივთი/მომსახურება;
- 7. განსაკუთრებული პირობები**
- 7.1. კლიენტი უფლებამოსილია მოსთხოვოს ბანკს მესამე პირისათვის დამატებითი საკრედიტო ბარათის გადაცემა. დამატებითი საკრედიტო ბარათის საშუალებით აღნიშნულ მესამე პირს მიეცემა უფლება ისარგებლოს კლიენტის საკრედიტო ანგარიშით ამავე ანგარიშზე დაშვებული საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტის ფარგლებში. დამატებითი საკრედიტო ბარათზე სრულად ვრცელდება საკრედიტო ბარათით მომსახურების პირობები;
- 7.2. მესამე პირის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე და წარმოქმნილი დავალიანების დაფარვაზე კლიენტი (ძირითადი საკრედიტო ბარათის მფლობელი) პასუხს აგებს სრულად.
- 7.3. საკრედიტო ბარათის განახლება მოხდება კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე. საკრედიტო ბარათის განუახლებლობის შემთხვევაში ათვისებულ თანხაზე პროცენტის დარიცხვა და არსებული დავალიანების დაფარვა გრძელდება პირობების შესაბამისად;



- 7.4. ბანკი და კლიენტი დაიცვენ პირობების და მასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების (მათ შორის ხელშეკრულებების) კონფიდენციალობას იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება: (ა) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად; (ბ) ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან; (გ) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. მიუხედავად ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, პირობების საფუძველზე კლიენტი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, რომ მის შესახებ ინფორმაცია დამატებითი შეთანხმების გარეშე გადასცეს ს.ს. „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას, რომელიც შეიძლება ფუნქციონირებდეს ან დაარსდეს საქართველოს ან ნებისმიერი სხვა იურისდიქციის ქვეშ, მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე ვალის წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ საპროცენტო სარგებელს, მოქმედების ვადას, კლიენტის მიერ ვალთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს. აგრეთვე კლიენტი აძლევს თანხმობას ს.ს. „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას, რომ ბანკის მიერ ს.ს. „კრედიტინფო საქართველოსათვის“ ან ნებისმიერი სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებისათვის მიწოდებული კლიენტის მონაცემები ს.ს. „კრედიტინფო საქართველომ“ ან ნებისმიერმა სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებამ გადასცეს მესამე პირებს, იმ პირობით რომ ბანკის მიერ მიწოდებული კლიენტის მონაცემების მიწოდება მოხდება იმ პირობისთვის, რომლებიც თავადაც აწვდიან ს.ს. „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას აღნიშნული ხასიათის მონაცემებს და რომელთაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება ს.ს. „კრედიტინფო საქართველოსთან“ ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებასთან. კლიენტი ბანკს აგრეთვე ანიჭებს უპირობო უფლებას მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს ს.ს. „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერი სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულების მონაცემთა ბაზაში არსებული კლიენტის მონაცემები;
- 7.5. კლიენტი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, კლიენტის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე, კლიენტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მესამე პირებს კლიენტის მიერ ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად ბანკის უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და კლიენტის მიერ ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 8.1. ბანკი უფლებამოსილია:
- 8.1.1. ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტის ვადის გაგრძელების, საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტის გაზრდის ან შემცირების შესახებ;
- 8.1.2. კლიენტის საბარათე ანგარიშზე ვადაგადაცილებული დავალიანების არსებობის შემთხვევაში მოითხოვოს კლიენტის ნებისმიერი აქტივის რეალიზაცია, თუ კლიენტის მიერ ბანკში გახსნილ ანგარიშზე არ არსებობს საკმარისი თანხა დავალიანების დასაფარავად;
- 8.1.3. ცალმხრივად შეაჩეროს/გააუქმოს საკრედიტო ბარათის მოქმედება ან შეწყვიტოს პირობებით გათვალისწინებული საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტით სარგებლობის უფლება ან შეამციროს საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტი კლიენტისათვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე და მოითხოვოს კლიენტის მიერ ათვისებული თანხის დაბრუნება მასზე დარიცხულ პროცენტთან, საკომისიოსთან და პირგასამტეხლოსთან ერთად, თუ:
- 8.1.3.1. კლიენტი დაარღვევს პირობებს;
- 8.1.3.2. გაუარესდება კლიენტის ფინანსური მდგომარეობა, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს კლიენტის მიერ ნებისმიერი მიზეზით სამსახურის დაკარგვას ან ბანკს მიაჩნია, რომ შეიქმნება ამგვარი გარემოების დადგომის საფრთხე;
- 8.1.3.3. კლიენტს ბანკის წინაშე გააჩნია ნებისმიერი სახის ვადაგადაცილებული საკრედიტო დავალიანება;
- 8.1.3.4. კლიენტის მოქმედება მიმართულია ბანკის მოტყუებისაკენ.
- 8.1.4. მოსთხოვოს კლიენტს საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტის უზრუნველყოფა იპოთეკის, გირაოს ან თავდებობის სახით;
- 8.1.5. გაუაუქმოს კლიენტს საკრედიტო ბარათი, თუ კლიენტმა 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ ისარგებლა დაშვებული საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტით;
- 8.1.6. პირველივე ვადაგადაცილებისას განახორციელოს საკრედიტო ბარათის ბლოკირება და საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტის ათვისების უფლების შეჩერება;
- 8.1.7. კლიენტის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე American Express-ის ჯგუფში შემავალ რომელიმე კომპანიას ან American Express-ის მიერ დასახელებულ კომპანიას გადასცეს საკუთარი უფლებელი და ვალდებულებები;
- 8.1.8. იქონიოს საინფორმაციო ბაზა კლიენტის შესახებ, რომელსაც შეუზღუდავად გაუცვლის American Express-ს ან მასში შემავალ რომელიმე კომპანიას რათა გააუმჯობესოს American Express-ის კლიენტებთან ურთიერთობა.
- 8.2. ბანკი ვალდებულია:
- 8.2.1. დაანგარიშების თარიღის მომდევნო დღიდან კლიენტისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია ყოველთვიური სავალდებულო მინიმალური გადასახადისა და გადახდის თარიღის შესახებ.
- 8.3. კლიენტი უფლებამოსილია:
- 8.3.1. მიმართოს ბანკს თხოვნით საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტის მოცულობის გაზრდის ან შემცირების შესახებ;
- 8.3.2. მოითხოვოს საკრედიტო ბარათით მომსახურების შეწყვეტა. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია მთლიანად დაფაროს საკრედიტო ბარათის ანგარიშზე არსებული ყველა დავალიანება.
- 8.4. კლიენტი ვალდებულია:





- 8.4.1. კრედიტის მოქმედების ვადის განმავლობაში განახორციელოს ყოველთვიური სავალდებულო მინიმალური გადასახადის გადახდა საკრედიტო ბარათის ამონაწერში მითითებული მინიმალური გადასახადის ოდენობის მიხედვით;
- 8.4.2. კლიენტის მიერ ბანკში გახსნილ ანგარიშებზე განხორციელებული ნებისმიერი ჩარიცხვიდან პირველ რიგში დაფაროს ბანკის მიმართ არსებული დავალიანება;
- 8.4.3. კრედიტის გადახარჯვის შემთხვევაში, სრულად დაფაროს საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტს ზევით გადახარჯული თანხა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მასზე დარიცხული პროცენტის ჩათვლით.

**9. პირობების ძალაში შესვლა და მოქმედება**

- 9.1. პირობები ძალაში შედის ბანკის მიერ საკრედიტო ბარათზე საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტის დაშვების თარიღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე;
- 9.2. საკრედიტო ბარათით მომსახურების ვადამდე შეწყვეტა დასაშვებია: მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, რომელიმე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირობების დარღვევის შემთხვევაში, პირობებით და/ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 9.3. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტის დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე, ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პირობები. მათ შორის:
  - 9.3.1. შეამციროს საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტის მოცულობა;
  - 9.3.2. შეცვალოს პირობებით დადგენილი საპროცენტო სარგებლოს, საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს ოდენობა(ები);
  - 9.3.3. შეცვალოს პირობებით გათვალისწინებული გადახდის ვადა/ვადები;
  - 9.3.4. დაადგინოს საკრედიტო ბარათით სარგებლობასთან დაკავშირებული საკომისიოს ტიპები ან/და მათი განაკვეთი(ებ)ის ოდენობა.
- 9.4. ბანკის მიერ ზემოაღნიშნული უფლების გამოყენებისას:
  - 9.4.1. არსებული პირობების კლიენტისთვის გაუარესების შემთხვევაში (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს საკომისიოების, პირგასამტეხლოსა და საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული სხვა სატარიფო განაკვეთების გაზრდას) ბანკი ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ მის განხორციელებამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე შემდეგი ფორმით შეატყობინოს კლიენტს: საჯარო გამოცხადების გზით (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეიძლება მოიცავდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და/ან სერვის ცენტრებში განცხადებების განთავსებას) და/ან მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნით და/ან ელექტრონული ფოსტით შეტყობინებების გაგზავნით და/ან ნებისმიერი სხვა საშუალებით, რომლითაც ბანკი კლიენტს შეატყობინებს ამგვარი ცვლილებების შესახებ;
  - 9.4.2. თუ კლიენტი არ ეთანხმება არსებული პირობების გაუარესებას და/ან ტარიფების ბანკის მიერ გაზრდას იგი ვალდებულია განახლებული პირობების ძალაში შესვლის თარიღამდე წერილობით მიმართოს ბანკს ამის შესახებ და სრულად დაფაროს ბანკის წინაშე არსებული დავალიანება;
  - 9.4.3. არსებული პირობების კლიენტისთვის გაუმჯობესების შემთხვევაში (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს თვიური საბაზისო საპროცენტო განაკვეთის შემცირებას და/ან საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტის გაზრდას) ბანკი ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ მისი განხორციელების მერე შემდეგი ფორმით შეატყობინოს კლიენტს: საჯარო გამოცხადების გზით (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეიძლება მოიცავდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და/ან სერვის ცენტრებში განცხადებების განთავსებას) და/ან მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნით და/ან ელექტრონული ფოსტით შეტყობინებების გაგზავნით და/ან ნებისმიერი სხვა საშუალებით, რომლითაც ბანკი კლიენტს შეატყობინებს ამგვარი ცვლილებების შესახებ;
  - 9.4.4. თუ კლიენტი არ ეთანხმება არსებული პირობების გაუმჯობესებას და/ან საბაზისო საპროცენტო განაკვეთის შემცირებას და/ან საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტის გაზრდას იგი ვალდებულია, ინფორმაციის მიღების შემდეგ არ ისარგებლოს გაუმჯობესებული პირობებით (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტის გაზრდას) და ინფორმაციის მიღებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში წერილობით მიმართოს ბანკს ძველი პირობების დაბრუნების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ კლიენტი უპირობოდ დაეთანხმა არსებული პირობების გაუმჯობესებას;
  - 9.4.5. წინამდებარე პირობებში შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს წინამდებარე პირობების განუყოფელ ნაწილს.
- 9.5. კლიენტი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს ბანკს განაცხადში დაფიქსირებული რომელიმე რეკვიზიტის (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს, საცხოვრებელ მისამართს, ტელეფონის ნომერს, მობილურის ნომერს და ა.შ.) ცვლილების შესახებ. თუ კლიენტი შეიცვლის განაცხადში მითითებულ რომელიმე საკონტაქტო ინფორმაციას და 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში წერილობითი არ შეატყობინებს ბანკს ახალ რეკვიზიტებს, მაშინ განაცხადში მითითებულ რეკვიზიტზე ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება კლიენტისთვის უპირობოდ ჩაბარებულად.